

# **ხანდაზმულებში ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასება**

## **პროტოკოლი № 4**

### **მიზანი:**

ხანდაზმულებში ფსიქიკური სფეროს გავრცელებულ პათოლოგიათა აღრეული იდენტიფიცირება.

### **ამოცანები:**

1. გოგად საექიმო პრაქტიკაში ხანდაზმულთა ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების სისტემატური და რეგულარული შეფასების უზრუნველყოფა;
2. ფსიქიკური სფეროს დარღვევათა დროული იდენტიფიცირებისა და სათანადო მართვის გზით მოსალოდნელ გართულებათა თავიდან აცილება და ხანდაზმული პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

### **რესურსი:**

#### **სამედიცინო პერსონალი:**

- პრაქტიკის ექთანი;
- უბნის ექთანი;
- რეგისტრაციონი.

#### **საჭირო აგეჯი და აღჭურვილობა:**

პაციენტის საკონსულტაციო ოთახი.

#### **თრგანიზაციული ასპექტები:**

1. ხანდაზმულებში ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასება უნდა მოხდეს ხანდაზმულთა რეგულარული მეთვალყურეობის პროცესში შემდეგი პერიოდულობით: 65-დან 75 წლამდე ასაკში 3 წლისწადში ერთხელ, ხოლო 75 წლის ზემოთ წლისწადში ერთხელ (ეს ვიზიგი უფარდება ყველა პაციენტს, მ.მ. ქრონიკულად დაავადებულსაც, რომელსაც ძირითადი პათოლოგიის გამო დამატებით მაინც ნახულობს სამედიცინო პერსონალი);
2. ხანდაზმულთა ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასებისას მნიშვნელოვანია სკრინინგი ქვემოხამოთვლილი პათოლოგიების დროული იდენტიფიკაციის მიზნით:
  - დემენცია;
  - დეპრესია.
3. იმ პაციენტების სამედიცინო მეთვალყურეობას, რომლებიც პრაქტიკას თავად მომართავენ, უზრუნველყოფს პრაქტიკის ექთანი. თითოეული კონსულტაცია საშუალოდ 20-25 წუთი გრძელდება. ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასების მიზნით, ექთანი იყენებს ისეთ სკრინინგულ ინსტრუმენტებს, როგორიცაა:
  - მინი-მენთალური ტესტი (იხ. გაიდლაინი)
  - დეპრესიის გერიატრიული სკალის შემოკლებული ხუთპუნქტიანი ვარიანტი (იხ. გაიდლაინი).
4. მწლიარე პაციენტებისათვის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას განახორციელებს უბნის ექთანი იმავე მოცულობით, როგორც ეს პრაქტიკის პირობებშია მოსალოდნელი.

1.5. სკრინინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული შემეცნებითი ფუნქციების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევის თაობაზე უნდა ეცნობოს ოჯახის/უბნის ექიმს, რომელმაც უნდა უბრუნველყოს პაციენტის კონსულტირება და იმოქმედოს მისი მდგომარეობისა და საჭიროების შესაფერისად (იხ. გაიდლაინი).

## II. ორგანიზაციული ასპექტები:

- 2.1. პრაქტიკის ექთანს უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული პაციენტების ზუსტი ნუსხა;
- 2.2. რეგისტრაცორს უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული პაციენტების სია ასაკის მიხედვით, რაც მას საშუალებას მისცემს, განახორციელოს ხანდაგმულთა გამოძახება ტელეფონით, ან თუ ეს შეუძლებელია, მათი გამოძახება წერილობითი შეტყობინებით;
- 2.3. პრაქტიკის ექთანმდებარებული უნდა შეავსოს ხანდაგმული პაციენტის სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათი, სადაც იგი აფიქსირებს მინი-მენთალური ტესტისა და დეპრესიაზე სკრინინგის შედეგებს.

## III. აუდიტის კრიტერიუმები:

- მინი-მენთალური ტესტი ჩატარდა X შემთხვევაში;
- ამის საფუძველზე გამოვლინდა დემენციის X შემთხვევა;
- დეპრესიაზე სკრინინგული კითხვარი შეავსო X პაციენტმა;
- ამის საფუძველზე გამოვლინდა დეპრესიის X შემთხვევა.